



საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში
ინტეგრაციის საკითხებში

№ 011637

10 _____ 12 _____ 2013

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად, წარმოგიდგენთ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2013 წლის ანგარიშს:

- მიმდინარე წელს შემოვიდა საჯარო ინფორმაციის გაცემის 14 მოთხოვნა. ჩვენს აპარატს უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილება არ მიუღია. აპარატში არ შემოსულა საჯარო ინფორმაციაში შესწორების არც ერთი მოთხოვნა;
- მიმდინარე წელს მიღებულ იქნა 14 მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილება, შესაბამისად, დაკმაყოფილდა ყველა მოთხოვნა და ჩვენს აპარატს მოთხოვნაზე არ მიუღია არც ერთი უარის თქმის გადაწყვეტილება. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე გადაწყვეტილება მიიღო აპარატში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელმა პირმა, აპარატის უფროსმა პაპუნა შენგელაიამ;
- საჯარო მონაცემთა ბაზებისთვის ინფორმაცია და პერსონალური მონაცემების შეგროვება, დამუშავება, შენახვა, ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილებით განსაზღვრული ნუსხის შესაბამისად, მომზადების სტადიაშია და დადგენილ ვადებში განთავსდება ელექტრონულად;
- მიმდინარე წლის განმავლობაში აპარატის საჯარო მოსამსახურეების მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა, შესაბამისად, არ დადებულა დისციპლინარული სახდელი;

- ჩვენს აპარატს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილება არ მიუღია, შესაბამისად, საფუძვლად არ გამოგვიყენებია საკანონმდებლო აქტები;
- ჩვენს აპარატს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილება არ მიუღია, შესაბამისად, არ მომხდარა გადაწყვეტილების გასაჩივრება;
- ჩვენი აპარატის რიცხოვნობისა და მასალის მცირე მოცულობიდან გამომდინარე, ინფორმაციის დამუშავება და გაცემა მოხდა ჩვენივე ადამიანური და მატერიალური რესურსებით. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილება არ მიგვიღია, არ მომხდარა გადაწყვეტილების გასაჩივრება, შესაბამისად, ხარჯი არ გაწეულა.

პატივისცემით,

პაპუნა შენგელაია

აპარატის უფროსი

